



გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, დოქტორი აქსელ ბოეტიხერი
პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი მერაბ ტურავა
პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი
პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი
პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

მთავარი რედაქტორი

დოქტორი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა), ასისტენტი (თსუ), საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

შინაარსი

სტატიები

თანამედროვე სისხლის სამართლის პოლიტიკა საქართველოში: გააზრებული ცვლილებები თუ ნაჩქარავი რეაქციები ცალკეულ გამოწვევებზე

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ბაჩანა ჯიშკარიანი* LL.M. (მიუნხენი), საქართველოს უნივერსიტეტი





სარედაქციო კოლეჯია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის მიწის სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე
ყოფილი მოსამართლე, დოქ.

ბერნდ ასბროკი

ბრემენის რაიონული სასამართლოს

ვიცე-პრეზიდენტი ელენ ბესტი

გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი

მოსამართლე, დოქ. აქსელ ბოეტციხერი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი

თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე

ასოცირებული პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე

პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი

ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი

LL.M. (ბერლინი)

გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი

ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე

ადვოკატი დავიდ კონრადი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი

მოსამართლე, პროფ. დოქ. თამარ ლალიაშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე,

ასოცირებული პროფ. დოქ. ლავრენტი მალლაკელიძე

პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.

(ფრაიბურგი)

ასისტენტი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)

დოქ. ანეკე პეტცუე MSc (ოქსფორდი)

დოქ. მარტინ პიაცენა

დოქ. ეროლ პოლრაიხი

სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის

დანაშაულის, უსაფრთხოებისა და სამართლის

შესწავლის ინსტიტუტში, დოქ. იოანა რინჩიანუ LL.M.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი

მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

თავმჯდომარე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა

ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.

(ჰამბურგი)

პროფ. დოქ. ედვარდ შრამი

ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

ასისტენტი-პროფ. დოქ. ლევან ხარანაული

ასისტენტი-პროფ. დოქ. მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი)

ასოცირებული პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M.

(მიუნხენი)

პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი

პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის

გერმანული ფონდის (IRZ) სამხრეთ-აღმოსავლეთ

ევროპა II და სამხრეთ კავკასიის პროექტების

ხელმძღვანელი ფრანკ ჰუფველდი

ჟურნალის 2020 წლის მესამე გამოცემის სამუშაო ჯგუფი

თარგმანი:

მარიკა ტურავა LL.M. (ჩიკაგო), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და

თარგმანის კორექტირება:

აზა მორგოშია LL.M. (კიოლნი), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და

თარგმანის კორექტირება:

სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა

2020 წლის მესამე გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი

და საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი,

დოქტორი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა),

ასისტენტი (თსუ), საქართველოს პარლამენტის

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

თანამედროვე სისხლის სამართლის პოლიტიკა საქართველოში: გააზრებული ცვლილებები თუ ნაჩქარავი რეაქციები ცალკეულ გამოწვევებზე

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M.* (მიუნხენი), საქართველოს უნივერსიტეტი

I. შესავალი

ბოლო წლებში განსაკუთრებით შესამჩნევია საქართველოს სისხლის სამართლის (მატერიალურ) კოდექსში ცვლილებების პერიოდულად შეტანის ტენდენცია. ეს გამოიხატება, ერთი მხრივ, სავსებით ახალი დანაშაულების შემოღებაში, ხოლო მეორე მხრივ, არსებული დანაშაულებისთვის გათვალისწინებული სასჯელების გამკაცრებასა და ახალი დამამძიმებელი გარემოებების დადგენაში. ამის ერთ-ერთი მაგალითია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავში განხორციელებული მთელი რიგი ცვლილებები; გარდა ამისა, ცალკეული ცვლილებები განხორციელდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემადგენლობებში, სადაც დაემატა ისეთი დამამძიმებელი გარემოებები, როგორებიც არის გენდერის ნიშანი და ქმედების ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩადენა. ეს და სხვა ცვლილებები უფრო დეტალურად ქვემოთ განიხილება.

ცხადია, რომ ქართული სისხლის სამართალი ვერ იქნება ჩაკეტილი დარგი და ის ინტენსიურად განიცდის საერთაშორისო და ევროპული სამართლის გავლენას. მაგალითად, საკმარისია თუნდაც ტერორიზმთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების¹ გახსენება, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც არის ასახული, რაც მართებულია. თუმცა ამავდროულად საკითხავია, რამდენად სწორად ხორციელდება ცვლილებები ან რამდენად აუცილებელია ცალკეულ საკითხებთან მიმართებით სისხლისსამართლებრივი რეგულაციების ამჟამინდელი ფორმით არსებობა კანონმდებლობაში.

აქტიური და ექსპანსიური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა არ არის გამოწვევა მხოლოდ საქართველოში. მაგალითად, გერმანელი ავტორების აზრით, ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები შინაარსობრივი დისკუსიების წარმოჩენის ნაცვლად ახალ გამოწვევებზე რეაგირების პოპულარული მეთოდებით, სიღრმისეული გადამონმების გარეშე, წარმოჩენაზე უფრო არის ორიენტირებული.² ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მედიის ყურადღების ფარგლებში მოქცეულ საკითხებთან (მაგალითად, ბავშვის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან) მიმართებით, რომლებიც სწრაფად ვრცელდება საზოგადოებაში და რომლებზე რეაგირებასაც კანონმდებელი სასჯელის გამკაცრების გზით ცდილობს, თანაც არ ხდება იმის სათანადო გამოკვლევა, ობიექტურად შეესაბამება თუ არა ყოველივე ეს უმართლობის ხარისხს.³ მსგავს სახალხო რეაქციებზე საკანონმდებლო რეაგირება, სამწუხაროდ, აღარ არის იშვიათი მოვლენა ქართულ სისხლისსამართლებრივ რეალობაში. ამავდროულად, ყურადღების ფარგლების მიღმა არც ის უნდა დარჩეს, რომ სასჯელის გამკაცრებისას ამის აუცილებლობის დასასაბუთებლად, როგორც წესი, არ არსებობს არანაირი კრიმინოლოგიური ან სხვა სახის კვლევა, რომელიც ისედაც მკაცრი სასჯელის კიდევ უფრო გამკაცრებას გაამართლებდა. მსგავსი ანალიზი არც კანონის მიღების შემდეგ ტარდება, ხოლო აპელირება ძირითადად მხოლოდ მშრალ სტატისტიკაზე ხორციელდება.

შესაბამისად, ამ ნაშრომის მიზანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცალკეული ცვლილებების კრიტიკული ანალიზი, რათა *post factum* მაინც მოხდეს არსებულ ხარვეზებზე მსჯელობა.

¹ შეად. თუნდაც ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ ევროპული დირექტივა: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/ALL/?uri=celex%3A32017L0541> (ნანახია 17.10.2020).

² დანვრ. იხ. Wolters, in Satzger/Schluckebier/Widmaier, StGB, 4. Aufl., 2019, Vor §174 ff., Rn. 3.

³ Duttge/Hörnle/Renzikowski, NJW 2004, 1066; Hoven/Weigend, JZ 2017, 182 ff.

II. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ – ქართული სისხლის სამართლის ნაწილობრივი მოდერნიზაცია

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნაწილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების თვალსაზრისით 32-ე თავია, რომელიც, ბუნებრივია, განიცდიდა და ამჟამადაც განიცდის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის გავლენას.⁴ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება კი უშუალოდ გაუპატიურების შემადგენლობას (სსკ მუხ. 137) შეეხო. სისხლის სამართლის კოდექსის 2017 წლამდე მოქმედი მოდელი გარკვეულ დისკრიმინაციულ ნიშნებს შეიცავდა და დიფერენცირებას ახდენდა გაუპატიურებისა და ერთნაირსქესიანთა შორის სექსუალური ძალადობის კუთხით. ერთნაირსქესიანთა შორის სექსუალური ძალადობა ცალკე შემადგენლობის სახით ისჯებოდა (სსკ. მუხ. 138). მეტიც, სსკ-ის 138-ე მუხლის ძველი რედაქციის თანახმად, ერთნაირსქესიანთა შორის დამყარებული სქესობრივი კავშირი გაუკუღმართებული ფორმით ჩადენილ ქმედებათა გვერდით იდგა.⁵

დღეს მოქმედი მოდელით აღარ ხდება მსგავსი დაყოფა და სხვის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა გაუპატიურების ერთიან ცნებაში ექცევა. აღნიშნული ცვლილებით ქართული მოდელი მიუახლოვდა სტამბულის კონვენციის სტანდარტს,⁶ თუმცა დანაშაულად კვალიფიკაციისთვის უცვლელი დარჩა პირობა, რომ გაუპატიურებად მხოლოდ იმ შემთხვევაში

მიიჩნევა ქმედება, თუ შეღწევა მსხვერპლის მიმართ ძალადობით, ძალადობის მუქარით ან უმწეობის გამოყენებით ხდება. შესაბამისად, ქართულმა სისხლის სამართალმა ვერ დააღწია თავი ე. წ. ორი აქტისგან შემდგარ კონსტრუქციას, რომელშიც გადამწყვეტია არსებობდეს, ერთი მხრივ, ძალადობა ან უმწეობა და დამნაშავეის მხრიდან მსხვერპლის საწინააღმდეგო სურვილის დაძლევა, მეორე მხრივ კი, უშუალოდ შეღწევა.⁷ სსკ-ის 137-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, პრობლემატურია ისეთი კაზუსების კვალიფიკაცია, როდესაც მსხვერპლი მისი პარტნიორის მხრიდან ე. წ. ძალადობის კლიმატში იმყოფება და თავის სხეულში შეღწევის დროს არ უწევს მას წინააღმდეგობას, ვინაიდან ამაში ვერ ხედავს აზრს, უმწეოა, თუმცა შინაგანად არ არის თანახმა ამ აქტზე. იმისათვის, რომ აღნიშნული ქმედება გაუპატიურებად დაკვალიფიცირდეს, კანონის დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, აუცილებელია, დადგინდეს მსხვერპლის ნების გადალახვის ფაქტი, რაც პრაქტიკულად ძალიან რთულია. იმ შემთხვევაში კი, თუ გაუპატიურების შემადგენლობაში მსხვერპლის თანხმობის არარსებობის მოდელი დამკვიდრდება, სასამართლო იმსჯელებს, რომ მსხვერპლის მხრიდან თანხმობა არ არსებობდა, ხოლო დამნაშავეის დასჯა შედარებით გამარტივდება.⁸ ამ დროს გამოძიებისა და სასამართლოსთვის გადამწყვეტი აღარ იქნება ძალადობის ფაქტის არსებობის დადგენა, არამედ ყურადღება გამახვილდება მსხვერპლის ნების არარსებობაზე, რომელიც უფრო ზუსტად

⁴ სრული ტექსტი იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0> (ნანახია 24.10.2020).

⁵ დანვრ. იხ. ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 2016, აზვ. 155; ასევე თოდუა, წიგნში ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, 2016, 226 და შემდეგი.

⁶ ძველი რედაქციის თანახმად, თუნდაც ქალის სხეულში ე. წ. გაუკუღმართებული ფორმით ძალადობრივი შეღწევა (მაგალითად, ანალური გზით) სამართლებრივად არ ფასდებოდა, როგორც გაუპატიურება (სსკ. მუხ. 137), და მსგავსი ქმედება სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებაში ექცეოდა (სსკ. მუხ. 138).

⁷ მსგავს პირობებს შეიცავდა აგრეთვე გერმანიის სსკ-ის §117, თუმცა დღეს ეს მიდგომა საკანონმდებლო დონეზე შეცვლილია და სექსუალურ თავდასხმად ითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც მსხვერპლის აშკარა სურვილის საწინააღმდეგოდ ხდება. შემადგენლობაში უკვე არსად ჩანს ძალადობის ან უმწეობის გამოყენების მომენტი. გადამწყვეტია თანხმობის არარსებობის ფაქტი. დანვრ. იხ. Eisele, in Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, 30. Aufl., 2019, § 177 Rn. 3 ff.

⁸ ეს პრობლემა გერმანულ პრაქტიკაშიც დიდი გამოწვევა იყო და სწორედ ამის გამო წამოიჭრა სტამბულის კონვენციის შესაბამისად სსკ-ში ცვლილებების შეტანის საკითხი. იხ. ნოლტენიუსი, კრებულში: ჯიშკარიანი/ვასმერი, სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, 2019, 37 და შემდეგი. ქართული სასამართლო პრაქტიკის პრობლემატური შემთხვევების ანალიზისთვის იხ. გეგელია, წიგნში გეგელია/კვლენჯერიძე/ჯიშკარიანი, სქესობრივი დანაშაულები, 2020, 35 და შემდეგი.

გამოხატავს ადამიანის სექსუალური ავტონომიის არსს, ვიდრე ძალადობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები.⁹

სქესობრივი დანაშაულების თავში კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც კრიტიკას იმსახურებს, განხორციელდა სსკ-ის 140-ე მუხლში 2013 წელს. ეს მუხლი დასჯადაც აცხადებს სრულწლოვანის სექსუალური ხასიათის შეღწევას თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში. ცვლილება შეეხო არა უშუალოდ დანაშაულის ნიშნებს, არამედ სასჯელი უეცრად გამკაცრდა. კერძოდ, თუ მანამდე ამ დანაშაულის დამამძიმებელი გარემოების გარეშე ჩადენისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო ერთიდან სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, ცვლილების შედეგად შეიქმნა ვითარება, რომ თვრამეტი წლის ადამიანს, რომელიც, მაგალითად, თხუთმეტი წლის და ექვსი თვის პირთან მისივე გაცნობიერებული თანხმობით დაამყარებს სქესობრივ კავშირს, შვიდიდან ცხრა წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება (აღსანიშნავია, რომ მკვლელობისთვისაც შვიდი წლიდან იწყება მინიმალური სასჯელი).

სასჯელის გამკაცრებით, ერთი შეხედვით, ცალსახად გამოიხატა სახელმწიფოს პოლიტიკური ნება, დაპირისპირებოდა სრულწლოვანსა და თექვსმეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანს შორის დაოჯახების არცთუ იშვიათ შემთხვევებს საქართველოში. თუმცა, სინამდვილეში, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ასეთი საქმეების უმეტესობა ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის საპროცესო შეთანხმების დადებით და სიმბოლური სანქციების დაკისრებით მთავრდება.¹⁰ ის, რომ თავის დროზე სასჯელის გამკაცრების ერთ-ერთი მიზანი ნაადრევ ქორწინებასთან ბრძოლა იყო, პრაქტიკაში ლიტონ სიტყვებად დარჩა და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები სწორედ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის მეშვეობით ცდილობენ, თავი დააღწიონ დრაკონული, არაპროპორციული სასჯელების გამოყენებას ბრალდებულის მიმართ, რომელიც შეიძლება ჯერ კიდევ თვრამეტი-ცხრა-

მეტი წლის ასაკის იყოს. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება არასწორი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის კარგი მაგალითია, რომელიც მხოლოდ ფორმალურად არის ორიენტირებული ცალკეული პრობლემების გადაჭრაზე, საბოლოოდ კი უფრო მეტ პრობლემას იწვევს.¹¹ თვრამეტი წლის ასაკის პირზედაც კი ცალსახად მაინც არ ითქმის, რომ ის პიროვნულად იმდენად განვითარებულია, მის მიერ ჩადენილი ქმედება (რომელიც მსხვერპლის გაცნობიერებულ თანხმობას ეფუძნება) სასჯელის მხრივ თითქმის მკვლელობის უმართლობას გაუთანაბრდება.

ამგვარად, სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ გატარებულ რეფორმებს მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი აქვს და, მცირედი პროგრესის მიუხედავად, პრობლემების დიდი ნაწილი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის კუთხით კვლავ გადაუჭრელია.

III. ოჯახში ძალადობა და სისხლის სამართალი

ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა ერთ-ერთ სერიოზული გამოწვევაა არა მხოლოდ – სისხლის სამართლის, არამედ სოციალური პოლიტიკის თვალსაზრისითაც. ჯერ კიდევ 2012 წელს ოჯახში ძალადობის შემადგენლობა ცალკე დანაშაულის სახით იქნა შეტანილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (მუხ. 126¹). მანამდე კი, 2006 წელს, პარლამენტმა მიიღო კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.¹²

¹¹ თავის დროზე წარმოდგენილი ცვლილებების კანონპროექტის განმარტებით ბარათში (ავტორი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო) სიახლეების შინაარსობრივი დასაბუთების მცდელობაც კი არ ჩანს. კანონპროექტის ინიციატორი სამინისტრო მხოლოდ ზოგადი წინადადებით შემოიფარგლება, რომ „კანონპროექტის შემუშავების მიზანია ზედმეტად ლიბერალური მიდგომა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებისთვის გათვალისწინებული სანქციების სახესა და ზომასთან დაკავშირებით“: <https://info.parliament.ge/#law-drafting/491> (ნანახია 26.10.2020). აღნიშნული დასაბუთების „ხარისხი“ კარგად მიუთითებს ჩვენს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის ტექნიკაზე.

¹² <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=18> (ნანახია 26.10.2020). აღნიშნული კანონ-

⁹ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ფარგლებშიც. დანვრ. იხ. <https://netgazeti.ge/news/451285/> (ნანახია 24.10.2020).

¹⁰ დანვრ. იხ. ჯიშკარიანი, ნიგნში გეგელია/კელენჯერიძე/ჯიშკარიანი, სქესობრივი დანაშაულები, 2020, 77 და შემდეგი.

თუმცა, ეს კანონი სისხლისსამართლებრივ შემადგენლობებს არ შეიცავდა.

ძალადობის ამ სპეციფიკური ფორმის წინააღმდეგ მსგავსი საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, ზოგადად, მისასაღმებელია,¹³ მაგრამ, ამასთანავე, ბოლო დროს შეიმჩნევა ტენდენცია, რომლის ფარგლებშიც მთელ რიგ სისხლისსამართლებრივ შემადგენლობებს დამამძიმებელი გარემოების სახით დანაშაულის ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩადენა დაემატა, რაც გარკვეულ კითხვებს ბადებს; მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) მე-2 ნაწილს 2018 წლის 30 ნოემბრის ცვლილებით დაემატა დამამძიმებელი გარემოება – „ოჯახის წევრის მიმართ“.

სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით გაუგებარია, აღნიშნულმა ცვლილებამ რა დამატებითი ღირებულება უნდა შესძინოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას. ოჯახის წევრის მკვლელობის კვალიფიკაცია ამ ცვლილებამდე მოხდებოდა სსკ-ის 108-ე მუხლით, რომელიც გულისხმობს განზრახ მკვლელობის მარტივ შემადგენლობას და სასჯელის სახით ითვალისწინებს შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას, რომელიც თავისთავად საკმაოდ მკაცრი სასჯელია. ზემოხსენებული ცვლილების შედეგად კი კვალიფიკაციის დასაბუთების კუთხით რთული მდგომარეობა იქმნება, მაგალითად, შემდეგ შემთხვევაში: ძმამ მოკლა ძმა ეჭვიანობის ნიადაგზე, ვინაიდან ორივეს ერთი ქალი შეუყვარდა; ეს არის კლასიკური, „მარტივი“, 108-ე მუხლის შემადგენლობა, რომელიც, კანონის დღევანდელი რედაქციის მიხედვით, აუცილებლად 109-ე მუხლის ფარგლებში, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის სახით უნდა დაისაჯოს.

მსგავსი ქმედების ჩადენა იმ პირის მიმართ, რომელიც არ არის ოჯახის წევრი, 108-ე მუხლით დაკვალიფიცირდება და, ამდენად, გაუგებარია, რის მიღწევას ცდილობს კანონმდებელი ამ ნიშნის მაკვალიფიცირებელ შემადგენლობად გამოცხადე-

ბით. დამამძიმებელი გარემოებების ცალკე შემოღების მიზეზი ყოველთვის იყო (და დღესაც არის) ქმედების განსაკუთრებული გასაკიცხაობა, რაც ოჯახის წევრობასთან მიმართებით რთული დასასაბუთებელია, ვინაიდან მკვლელობა თავისთავად მკაცრად იკიცხება და მხოლოდ ოჯახის წევრობა, როგორც ფაქტის არსებობა, არ უნდა გახდეს პასუხისმგებლობის დამამძიმების მიზეზი. სხვა შემთხვევა იქნებოდა, თუ მკვლელობა მოხდებოდა, მაგალითად, ოჯახში ძალადობის საფუძველზე (ქმარი გამუდმებით ძალადობდა ცოლზე და შემდეგ მოკლა); ამ შემთხვევაში მისასაღმებელია კვალიფიკაციის გამკაცრება, თუმცა კანონის დღევანდელი რედაქციით მხოლოდ ოჯახის წევრობის ფაქტიც კი ამძიმებს პასუხისმგებლობას.

უფრო რთული სამართლებრივი ვითარება იქმნება შემდეგი კაზუსის შემთხვევაში: ქალბატონ ა.-ზე ხშირად ძალადობდა მისი მეუღლე ბ. ერთხელაც ა.-მ, რომელიც ძალიან გაბრაზებული იყო, შურისძიების ნიადაგზე მოკლა ბ. როგორ დაკვალიფიცირდება ეს ქმედება? სასამართლო იძულებული გამოიყენოს სსკ-ის 109-ე მუხლი, ვინაიდან ა.-მ ოჯახის წევრი მოკლა და სასამართლო სისხლისმატერიალური სამართლის კუთხით ვერ შეუმსუბუქებს მას პასუხისმგებლობას. ქალბატონს სულ მცირე ცამეტი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება მაშინ, როდესაც აღნიშნული ქმედება კოდექსში ცვლილების შეტანამდე 108-ე მუხლით დაკვალიფიცირდებოდა და სასამართლო ბევრად ნაკლებ სასჯელს დანიშნავდა. ამ დილემიდან ერთადერთი გამოსავალი ისევ და ისევ პროკურატურას და ბრალდებულს შორის საპროცესო შეთანხმების დადებაა.¹⁴

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ცვლილებას სისხლისმატერიალური სამართლის კუთხით არანაირი ღირებულება არ აქვს და ის მხოლოდ სიმბოლური პოლიტიკის გამოხატულებაა, რომ ოჯახში ძალადობასთან „ეფექტიანი“ ბრძოლა ხორციელდება.

ნი მისი თავდაპირველი რედაქციის თანახმად შემდეგნაირად იყო დასათაურებული: საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

¹³ ცალკეულ ღონისძიებებთან დაკავშირებით იხ. <https://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba> (ნანახია 26.10.2020).

¹⁴ აღნიშნულ ცვლილებას აკრიტიკებს ასევე თოდუა, ნიგნში ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, 2019, 65.

IV. მოსახლეობის ჯანმრთელობა და საზოგადოებრივი ზნეობა, როგორც დაცული სისხლისსამართლებრივი სიკეთეები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე თავს, რომელშიც გაერთიანებულია მთელი რიგი სხვადასხვა დანაშაულები, დანყებული უკანონო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობით, გაგრძელებული პროსტიტუციასა და პორნოგრაფიასთან დაკავშირებული შემადგენლობებით და დამთავრებული ცხოველის წამებით, აქვს საკმაოდ სადავო სახელწოდება: „დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ“. ეს პირდაპირ უთითებს კოლექტიურ სამართლებრივ სიკეთეებზე, რომელთა დაცვასაც მათში მოცემული შემადგენლობები ემსახურება. განსაკუთრებით სადავოა საზოგადოებრივი ზნეობის საკითხი, რომელიც ცალსახად ეწინააღმდეგება თანამედროვე სისხლის სამართალს, რადგან მისი დაცვის მიზანი არ შეიძლება იყოს ზნეობრივი საკითხების მონესრიგება.

აღნიშნული სახელწოდება აქ დეტალურად არ განიხილება, ვინაიდან ის არ არის უახლესი ცვლილებების პროდუქტი, თუმცა განიხილება პროსტიტუციასთან დაკავშირებული შემადგენლობები, სადაც ბოლო დროს გარკვეული ცვლილებები განხორცილდა; კერძოდ, საუბარია სსკ-ის 254-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაზე, რომელიც პროსტიტუციის ხელშეწყობას გულისხმობს. კანონის 2018 წლამდე მოქმედი რედაქციით დასჯადი იყო მხოლოდ პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა, რაც იძლეოდა შესაძლებლობას, რომ დასჯილიყვნენ არა მხოლოდ ე. წ. სუტენიორები, რომლებიც საკუთარ სასტუმროებში უწევდნენ ორგანიზებას მსგავს საქმიანობას, არამედ დასჯილიყო ნებისმიერი პირი, რომელიც წინასწარი შეცნობით სხვას დაუთმობდა ბინას პროსტიტუციის განსახორციელებლად. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად კი დასჯადობა გაფართოვდა და პირის უბრალოდ პროსტიტუციაში დაყოლიება, ასევე სხვა ხელშეწყობი ქმედებების ჩადენა დანაშაულად გამოცხადდა, კერძოდ, მოხდა ახალი ქმედებების კრიმინალიზაცია.¹⁵

¹⁵ აღნიშნულ ცვლილებას აკრიტიკებს ასევე თოდუა, ნიგნში ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, 2019, 819 და შემდეგი.

აღნიშნული შემადგენლობის ამჟამინდელი ფორმით არსებობა არის სისხლის სამართლის კოდექსის პატერნალისტური მიზნით გამოყენების კიდევ ერთი გამოხატულება, ვინაიდან სრულიად გაუგებარია, თუ რატომ უნდა დაისაჯოს ადამიანი იმისათვის, რომ მან მეორე სრულწლოვან ადამიანს საკუთარი სხეულით ვაჭრობა რამდენჯერმე ურჩია, ხოლო მეორე ადამიანმა სავსებით ავტონომიურად, დამოუკიდებლად გადაწყვიტა, გაეზიარებინა ეს რჩევა და რეალურად ჩაბმულიყო პროსტიტუციაში. გაუგებარია, რა სამართლებრივი სიკეთე უნდა იქნეს დაცული სსკ-ის 254-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე მაშინ, როდესაც სხვის მიმართ არანაირი იძულებით ქმედება არ ხორციელდება; ამსრულებლის ქმედების ერთადერთი უმართლობა კი ის არის, რომ მან „ამორალურ“ ქმედებაზე დაიყოლია სხვა.

ამავდროულად, მხედველობაში არის მისაღები, რომ საქართველოში პროსტიტუცია სისხლისსამართლებრივად არ ისჯება, თუმცა ის მაინც არალეგალურია და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ექვემდებარება. შესაბამისად, გამოდის, რომ თავად პროსტიტუცია დანაშაული არ არის, ვინაიდან ეს ქმედება მცირე ხარისხის უმართლობას შეიცავს, მაგრამ, ამასთანავე, სხვა უნდა დაისაჯოს მეორე პირის ამ მცირე ხარისხის უმართლობაში თუნდაც შეგონების გზით ჩაბმისთვის.¹⁶ საბოლოოდ, გამოდის, რომ დაცული სამართლებრივი სიკეთე მორალი და ზნეობაა, რაც შეესაბამება სსკ-ის 32-ე თავის სათაურს, მაგრამ ამოვარდნილია თანამედროვე სისხლის სამართლის ზოგადი კონტექსტიდან.

ვითარების აბსურდულობა კარგად ჩანს შემდეგი კაზუსიდან: სრულწლოვან ა.-ს აქვს ბევრი ფულადი ვალდებულება, რის გამოც ჩავარდნილია საგონებელში. მისი ნაცნობი ბ. რამდენჯერმე ურჩევს მას, რომ გამოიყენოს თავისი ფიზიკური მონაცემები, თანხის სანაცვლოდ სხვა პირებთან დაამყაროს სქესობრივი კავშირი და ამ გზით მოაგვაროს

¹⁶ რასაკვირველია, იძულებით ჩაბმის შემთხვევაში ან არასრულწლოვანებთან დაკავშირებით მსგავსი ქმედების დასჯადობა გამართლებულია, რადგან აქ უკვე იგულისხმება, ერთი მხრივ, სხვა ადამიანის თავისუფალი ნების შეზღუდვა და, მეორე მხრივ, არასრულწლოვანის ნორმალური განვითარების საკითხი. მსგავს ქმედებებს სხვა შემადგენლობების სახით თავისთავად დასჯადად აცხადებდა და აცხადებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

ფულადი ვალდებულების გადახდის პრობლემა. ა.-მ საბოლოოდ გაიზიარა ეს რჩევა და რამდენიმე ადამიანთან დაამყარა სქესობრივი კავშირი.

აღნიშნულ კაზუსში ბ. დაექვემდებარება სსკ-ის 254-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დასჯადობას, რადგან მან რჩევის რამდენჯერმე მიცემით დაიყოლია ა. და ჩააბა ის პროსტიტუციაში, რაც სრულიად გაუგებარია სამართლებრივი სიკეთის დაცვის კონცეფციის თვალსაზრისით, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს კონკრეტული ქმედების დასჯადობის ან დაუსჯელობის საკითხის გადაწყვეტა საკანონმდებლო დონეზე. იმისათვის, რომ ასეთი დასჯადობა თავიდან იქნეს აცილებული, პრაქტიკას მოუწევს, გამოასწოროს კანონმდებლის მიერ შემოღებული დანაშაულის ახალი შემადგენლობა მისი მაქსიმალურად ვიწროდ განმარტების გზით, რათა ნებისმიერი რჩევა ან ხელშეწყობა არ გადაიქცეს დანაშაულად.

დღეს მოქმედი ქართული მოდელი პროსტიტუციაში ჩაბმულ პირს განიხილავს, როგორც მეორეხარისხოვან ადამიანს, რომელიც საფრთხეს უქმნის აბსტრაქტულ სიკეთეს – საზოგადოებრივ ზნეობას, ხოლო ნებისმიერი მხარდამჭერი ქმედების მის მიმართ განხორციელება (მაგალითად, ბინის დათმობა, თუნდაც უანგაროდ, რათა ქუჩაში არ მოუწიოს აღნიშნული საქმიანობა) დანაშაულად არის გამოცხადებული. ამრიგად, დადებითი ეფექტის ნაცვლად, უარყოფითი შედეგები მიიღება, ვინაიდან ეს საქმიანობა მთლიანად არალეგალურ სივრცეში გადავიდა, სადაც სახელმწიფოს კიდევ უფრო ნაკლები აქვს იმის პრევენციის შესაძლებლობა, რომ პროსტიტუციაში ჩაბმული პირები არ გახდნენ თუნდაც ტრეფიკინგის მსხვერპლი. მოქმედი საკანონმდებლო ნორმების გამო, ეს პირები იძულებული არიან, დახმარებისთვის (მაგალითად, კლიენტისთვის მომსახურების გასაწევად სასტუმროს ნომრის მისაღებად) მიმართონ არალეგალურ საქმიანობაში ჩაბმულ პირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოტენციური დახმარების კანონიერად განევის მსურველი დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფრთხის წინაშე.

პროსტიტუციასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით ქართული სისხლის სამართლის მიდგომის შედარება შეიძლება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებამდე მოქმედ გერმანულ მოდელთან, სადაც ასევე იყო წინ წამოწეული ზნე-

ობის საკითხი. 1973 წლის რეფორმით კი უარი ითქვა მოძველებულ კონცეფციაზე და, შესაბამისად, პირად ავტონომიასა და სექსუალურ ავტონომიაზე გამახვილდა ყურადღება.¹⁷ რეფორმის მთავარი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ დაუშვებელი იყო ქმედების დასჯა მხოლოდ იმიტომ, რომ ის მორალს ეწინააღმდეგებოდა.¹⁸ ჯერ კიდევ 1969 წელს გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ¹⁹ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის ამოცანა არ არის ზრდასრულ პირებთან მიმართებით მორალური სტანდარტების დადგენა. მისი ამოცანაა სოციალური წესრიგის დაცვა უხეში ჩარევისგან.²⁰

ამგვარად, როგორც ჩანს, ქართული სისხლის სამართალი ჯერ ვერ გათავისუფლდა კონსერვატიული მიდგომისგან; მეტიც, ახალი შემადგენლობის დამატებით შემოღება უფრო გვაშორებს პირადი ავტონომიისა და ინდივიდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თავისუფლების პატივისცემას.

V. დასკვნა

მიუხედავად სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული იმ ცალკეული ცვლილებებისა, რომლებიც შეიძლება დადებითად შეფასდეს (მაგალითად, 2017 წელს ადევნების შემადგენლობის სტამბულის კონვენციის გავლენით შემოღება, სსკ მუხ. 151¹), მთლიანობაში მაინც ვერ ითქმება, რომ ცვლილებები ხშირ შემთხვევებში სისტემურად გააზრებულად ხორციელდება. ეს ნათლად ჩანს თუნდაც ზემოთ განხილული რამდენიმე მაგალითიდან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იმდენად გადაიტვირთა ახალ-ახალი სპეციალური შემადგენლობებით, პრიმა მუხლებითა თუ დამამძიმებელი გარემოებებით, რომ ცვლილებათა ასეთი ტემპით გაგრძელების შემთხვევაში რამდენიმე წლის შემდეგ ის თავისი უამრავი, თუნდაც დუბლირებული, შემადგენლობებით შესაძლოა საერთოდ წაკითხვადიც კი აღარ იყოს. აქედან გამომდინარე,

¹⁷ Fischer, StGB, 66. Aufl., 2019, Vor. § 174 Rn. 1.

¹⁸ დაწვრ. იხ. Eisele, in Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, 30. Aufl., 2019, Vor. zu den §§ 174 ff., Rn. 1 ff.

¹⁹ BGHSt 23, 43.

²⁰ სქესობრივი დანაშაულების გერმანულ მოდელთან დაკავშირებით დაწვრ. იხ. ჯიშკარიანი, წიგნში გეგელია/კელენჯერიძე/ჯიშკარიანი, სქესობრივი დანაშაულები, 2020, 125 და შემდეგი.

სასურველია, ყურადღება გამახვილდეს უფრო არსებული შემადგენლობების პრაქტიკაში ქმედით გამოყენებასა და აღსრულებაზე, ვიდრე საკამათო შემადგენლობების დამატებით შემოღებაზე.